ჩანაწერებს, ბავშვის შეფასების ჩანაწერებს, ბავშვის ნამუშევრებს, ბავშვის ნამუშევრის ფოტოებს, ბავშვების ფოტოებს სხვადასხვა თამაშისა და აქტივობის დროს. შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს და ინტერესებს. ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბერის N 505 ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ მე-4 მუხლი (გეგმებში ინდივიდუალიზაციის ასპექტი) განსაზღვრავს, რომ ინდივიდუალიზაცია ვლინდება ორი გზით: ა) მოკლევადიან გეგმებში ინდივიდუალიზაციის გრაფის შეტანით/გაწერით, ბ) ინდივიდუალური გეგმის შედგენით. ინდივიდუალურ გეგმაში მოცემულია ბავშვის სწავლისა და განვითარების ინდივიდუალური მიზნების მიღწევის საშუალებები. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

5. თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში დამტკიცებული კურიკულუმები ეფუძნება თამაშს, თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია. დაწესებულებაში არსებობს ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბერის N 505 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“. მუხლი მე- 3 (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა) განსაზღვრავს მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმის ფორმას, რომელიც მოიცავს თამაშზე ორიენტირებულ პროცესს. აღმზრდელებთან ინტერვიუს გზით დადგინდა, რომ მათ აქვთ ცოდნა თამაშით წარმართონ რუტინული აქტივობები (ქვიშის საათი, სიმღერები). ტრანზიციების განსახორციელებლად გამოიყენონ წარმოსახვითი და რიტმული თამაშები, სიმღერები, დასურათებული დღის განრიგი. აღმზრდელებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ თამაშზე ორიენტირებული პროცესები გეგმების გარდა, ნათელი იქნება მათ რეფლექსურ ჩანაწერებში, ბავშვების ობიექტური დაკვირვების ჩანაწერებში, ბავშვების ფოტოსურათებში, დღის განრიგში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

6. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში არსებობს ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბერის N 505 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“. ამავე წესის მე-3 მუხლი (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა) განსაზღვრავს მოკლევადიანი გეგმის ფორმას, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ტიპის თამაშზე ორიენტირებას სხვადასხვა გარემოში შიდა და გარე სივრცეში, როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად. აღნიშნული ბრძანების დანართის სახით ასევე წარმოდგენილია კვირის გეგმის შაბლონი, რომელშიდაც განსაზღვრულია ველი „კვირის ანალიზი“, რითაც აღმზრდელი „აჯამებს მთლიან კვირას“. ინტერვიუს გზით დადგინდა, რომ აღმზრდელებს აქვთ ცოდნა, აწარმოონ რეფლექსური ჩანაწერები, რომელშიდაც გამოჩნდება ბავშვების ინდივიდუალურ და ჯგუფურ თამაშებში ჩართულობა, სხვადასხვა გარემოში. ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 29 ნოემბერი 2024 წლის N 505 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ მუხლი 10 „პორტფოლიოს წარმოება“, განსაზღვრავს ბავშვის ინდივიდუალური პორტფოლიოების წარმოების წესს. აღმზრდელებს აქვთ ცოდნა აწარმოონ ბავშვის ინდივიდუალური პორტფოლიოები, რომლებშიც განთავსებული იქნება ბავშვის ფოტოები სხვადასხვა თამაშების და აქტივობების დროს, ასევე განთავსებული იქნება ბავშვის ობიექტური დაკვირვების ჩანაწერები, რომელითაც შესაძლებელი იქნება სხვადასხვა გარემოში სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართულობის დანახვა. ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ ჯგუფური ოთახები დაყოფილია ცენტრებად/სივრცეებად, სადაც ბავშვებს ექნებათ სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის შესაძლებლობა როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად, ამასთან ეზო არ არის დაყოფილი ფუნქციურ სივრცეებად და არ არის აღჭურვილი შესაბამისი მასალით, თუმცა დაწესებულებას მეორე სტანდარტის 2.2 კომპონენტის ნაწილში გაწერილი აქვს შესაბამისობის გეგმა, შესაბამისობის ტიპი-მეტწილი, იდენტიფიცირებული შეუსაბამობის აღწერაში იკვეთება საკითხი „ ეზოში/გარე სივრცეში განთავსებული მოწყობილობები არაა ბავშვის ასაკის

შესაბამისი; ეზოში არაა განთავსებული ბალანსის აღჭურვილობა; საცოცი/ასაძრომი; სივრცე დრამატული თამაშებისთვის; არ არის სკამები/დასაჯდომი და მაგიდა; სათამაშო სახლი/კარავი/სივრცე განმარტოებისთვის; საქვიშე; სასრილო; დაწესებულებას არ აქვს მზისგან და წვიმისგან დამცავი საშუალება/საჩრდილობელი”. შესაბამისობის გეგმის-„შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა/აქტივობების” გრაფაში იკითხება „ ფინანსების მოძიება, ბაზრის კვლევა/ტენდერის გამოცხადება, შესყიდვის პროცესის განხორციელება”.
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არის მეტწილად დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ პერიოდში (01/08/2025-01/08/2026) ფინანსების მოძიება, ბაზრის კვლევა/ტენდერის გამოცხადება, შესყიდვის პროცესის განხორციელება, რათა დაწესებულების ეზო მოწყობილ იქნას ისე, რომ ბავშვებს ქონდეთ ინდივიდუალურად და ჯგუფურად სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება.

რჩევა

.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბერის N 505 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ არეგულირებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსით უზრუნველყოფის საკითხს. აღნიშნული წესის მე-5 მუხლში (საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად რესურსის განსაზღვრის) ნაწილში იკითხება „დაწესებულების მიერ შერჩეული საგანმანათლებლო რესურსი შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეულ კურიკულუმს, „რესურსი მოიცავს მზა, მეორად და ბუნებრივ რესურსებს, რესურსების შერჩევას დაწესებულება ეფუძნება მრავალფეროვნებისა

და მრავალგვარობის კრიტერიუმებს, ასევე ეფუძნება ზავშვის ჰოლისტური განვითარებისთვის განსაზღვრულ სფეროებსა და თემატურ მიმართულებებს”. საგანმანათლებლო რესურსის შექმნას არეგულირებს აღნიშნული წესი, მუხლი 6 (საგანმანათლებლო პროცესის რესურსით უზრუნველყოფის ორგანიზება), რის მიხედვითაც საგანმანათლებლო რესურსის შექმნა ხორციელდება სატენდერო შესყიდვისა და პირდაპირი შესყიდვის გზით, წარმოდგენილი სქემის მიხედვით, აღნიშნული სქემა მოიცავს შემდეგ ეტაპებს: მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის განსაზღვრა/განახლება ბალების მიხედვით; შესაძენი საგანმანათლებლო რესურსის ერთიანი ბაზის ფორმირება ბალების მიხედვით; შესყიდვის შესახებ მოთხოვნის გაგზავნა მუნიციპალიტეტში/შესყიდვის განხორციელება; შექმნილი რესურსის მიღება და აღრიცხვა; შექმნილი საგანმანათლებლო რესურსის განაწილება ბალების მიხედვით; შექმნილი საგანმანათლებლო რესურსის განაწილება ჯგუფებში; ხარჯვის აქტი/საგანმანათლებლო რესურსის ინვენტარიზაცია (დაწესებულების მიერ დადგენილი პერიოდულობით). ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის საფინანსო განყოფილების ხელმძღვანელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ წარმოდგენილი სქემის მიხედვით არსებობს მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ნუსხა, არ არსებობს შესაძენი საგანმანათლებლო რესურსის ბაზა ბალების მიხედვით, თუმცა განმარტა, რომ „როგორც კი მუნიციპალიტეტიდან იქნება მხარდაჭერა, აქვთ მზაობა უმოკლეს დროში, მოთხოვნების შესაბამისად შექმნან შესაძენი რესურსის ბაზა ბალების მიხედვით”. რაც შეეხება სათამაშოების შესყიდვის განხორციელებას 2019 წლის შემდეგ არ აქვს ადგილი და შესაბამისად სქემის მომდევნო ეტაპების განხორციელება არ დასტურდება. აღნიშნული წესი განსაზღვრავს, რომ მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის საჭიროების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება ხორციელდება ყოველწლიურად, პერიოდული ინვენტარიზაციის გზით, რაც მტკიცებულებით არ დასტურდება. წესში ასახულია რესურსის მოძიების ალტერნატიული გზა-საგანმანათლებლო პერსონალისა და მშობლების დახმარებით მეორადი, ბუნებრივი და ღია მასალის მოგროვება (რისთვისაც დაწესებულების შესასვლელ სივრცეში მოთავსებულია მუყაოს სათავსო მეორადი მასალის შესაგროვებლად). აღნიშნული წესი განსაზღვრავს მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალს, რომელიც მოიცავს რესურსის დასახელებას და მინიმალურ რაოდენობას, აღნიშნული წესის მიხედვით „რესურსის განსაზღვრა განხორციელდება საგანმანათლებლო პერსონალის ჩართულობით და მტკიცდება კურიკულუმებთან ერთად დაწესებულების დირექტორის ბრძანებით”. შესაბამისად ამისა, დაწესებულებაში არსებობს 05 სექტემბრის 2024 წლის „კურიკულუმის გაცნობისა და შერჩევის სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N-1, სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრულია „მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ნუსხის განსაზღვრა”, ამასთან, დაწესებულებაში არსებობს ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 09 სექტემბრი 2024 წლის N-356 (პრიმა) ბრძანება „კურიკულუმისა და საგანმანათლებლო რესურსების მინიმალური ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“. ბრძანების თანდართული ფორმით დამტკიცებულია განვითარების სფეროების მიხედვით მინიმალური რესურსის ჩამონათვალი, რაც აუცილებელია კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბერის N 505 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ შესაბამისად დამტკიცებული საგანმანათლებლო რესურსის მინიმალური ჩამონათვალი, დამტკიცებული ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 09 სექტემბრი 2024 წლის N-356¹ ბრძანებით „კურიკულუმისა და საგანმანათლებლო რესურსების მინიმალური ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“. ბრძანების თანდართული ფორმით დამტკიცებულია განვითარების სფეროების მიხედვით მინიმალური რესურსის ჩამონათვალი, რაც აუცილებელია კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად. ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის საგანმანათლებლო რესურსების მინიმალური ჩამონათვალი მოიცავს რესურსის დასახელებას და მინიმალურ რაოდენობას. ვიზიტის დროს წარმოდგენილ იქნა ბაღის „ინვენტარიზაციის დოკუმენტი“; დაწესებულების წიგნების აღრიცხვის ჟურნალი, რომელშიც აღნიშნულია საბავშვო ლიტერატურის და მეთოდური ლიტერატურის ჩამონათვალი, მოძიებულ იქნა საკანცელარიო მასალის მიღება-ჩაბარების ერთი აქტი(2025 წლის 30 მაისით დათარიღებული), სათამაშოების მიღება-ჩაბარების ერთი აქტი (2019 წლის 22 მაისით დათარიღებული); ვერ იქნა მოძიებული საბავშვო ლიტერატურის მიღება-ჩაბარების აქტები; წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი არ არის დაწესებულების თვითშეფასების ფორმაში მითითებული ბავშვების რაოდენობის შესაბამისი. დაწესებულებას მეორე სტანდარტის 2.2 კომპონენტის ნაწილში გაწერილი აქვს შესაბამისობის გეგმა, შესაბამისობის ტიპი-მეტწილი, იდენტიფიცირებული შეუსაბამობის აღწერაში იკვეთება საკითხი „ არ არის საკმარისი სახელმძღვანელოები და ფიზიკური, სენსორული, შემეცნებითი რესურსი თემატური მიმართულებებისთვის; შიდა და გარე სივრცეები არ არის სრულად აღჭურვილი კურიკულუმის შესაბამისი რესურსით; ეზოში/გარე სივრცეში განთავსებული მოწყობილობები არაა ბავშვის ასაკის შესაბამისი; ეზოში არაა განთავსებული ბალანსის აღჭურვილობა; საცოცი/ასაძრომი კონსტრუქციები; სივრცე დრამატული თამაშებისთვის; არ არის სკამები/დასაჯდომი და მაგიდა; სათამაშო სახლი/კარავი/სივრცე განმარტოებისთვის; საქვიშე; სასრიალო; დაწესებულებას არ აქვს მზისგან და წვიმისგან დამცავი საშუალება/საჩრდილობელი“. შესაბამისობის გეგმის-„შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა/აქტივობების“ გრაფაში იკითხება „ ფინანსების მოძიება, ბაზრის კვლევა/ტენდერის გამოცხადება, შესყიდვის პროცესის განხორციელება“.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არის მეტწილად დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ პერიოდში (01/08/2025-01/08/2026) ფინანსების მოძიება, ბაზრის კვლევა/ტენდერის გამოცხადება, შესყიდვის პროცესის განხორციელება, რათა დაწესებულება უზრუნველყოფილ იქნას კურიკულუმის შესაბამისი რესურსით, ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

რჩევა

.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში არსებული ჯგუფური ოთახების ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია, ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ ჯგუფის ოთახი დაყოფილია ცენტრებად და სივრცეებად (შეხვედრების სივრცე; კუბურების/კონსტრუქციის ცენტრი; წიგნიერების ცენტრი; სამაგიდო თამაშების ცენტრი; ხელოვნების ცენტრი; დრამის ცენტრი; სენსორული ცენტრი; მეცნიერების ცენტრი. არასაკმარისი სივრცის შემთხვევაში გაერთიანებულია შინაარსით დაახლოებული ცენტრები მაგალითად; სამაგიდო თამაშების-ხელოვნების ცენტრი; სენსორული-მეცნიერების ცენტრი), ჯგუფებში გამოყოფილია წყნარი სივრცეები სიმყუდროვის ელემენტებით, ჯგუფი აღჭურვილია ბავშვის სიმაღლის შესაბამისი ავეჯით, კედლები არის ნეიტრალური ფერის, ზოგიერთ ადილას კედლებზე გამოკრულია ბევრი ფონური აპლიკაცია, კარადები და მაგიდები არის სხვადასხვა ფერის. დაწესებულებაში არსებული ეზოს მოწყობა კურიკულუმის შესაბამისი არ არის, ეზო დაყოფილი არ არის ფუნქციური სივრცეებით, სადაც ბავშვებს ექნებათ სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩართვის შესაძლებლობა. ეზოში არის მხოლოდ გასაძრომი კონსტრუქცია; გამოყოფილია ადგილი მოძრავ წესებიანი თამაშისთვის. დაწესებულებას მეორე სტანდარტის 2.2 კომპონენტის ნაწილში გაწერილი აქვს შესაბამისობის გეგმა, შესაბამისობის ტიპი-მეტწილი, იდენტიფიცირებული შეუსაბამობის აღწერაში იკვეთება საკითხი „ არ არის საკმარისი სახელმძღვანელოები და ფიზიკური, სენსორული, შემეცნებითი რესურსი თემატური მიმართულებებისთვის; შიდა და გარე სივრცეები არ არის სრულად აღჭურვილი კურიკულუმის შესაბამისი რესურსით; ეზოში/გარე სივრცეში განთავსებული მოწყობილობები არაა ბავშვის ასაკის შესაბამისი; ეზოში არაა განთავსებული ბალანსის აღჭურვილობა; საცოცი/ასაძრომი და გასაძრომი კონსტრუქციები; სივრცე დრამატული თამაშებისთვის; არ არის სკამები/დასაჯდომი და მაგიდა; სათამაშო სახლი/კარავი/სივრცე

განმარტოებისთვის; საქვიმე; სასრიალო; დაწესებულებას არ აქვს მზისგან და წვიმისგან დამცავი საშუალება/საჩრდილობელი”. შესაბამისობის გეგმის-„შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა/აქტივობების” გრაფაში იკითხება „ფინანსების მოძიება, ბაზრის კვლევა/ტენდერის გამოცხადება, შესყიდვის პროცესის განხორციელება”

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არის მეტწილად დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ პერიოდში (01/08/2025-01/08/2026) ფინანსების მოძიება, ბაზრის კვლევა/ტენდერის გამოცხადება, შესყიდვის პროცესის განხორციელება, რათა დაწესებულების ეზო მოწყობილ იქნას შერჩეული კურიკულუმების შესაბამისად.

რჩევა

.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

2. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა: ჯგუფების ოთახები დაყოფილია ცენტრებად და სივრცეებად, ცენტრებში ღია თაროებზე განთავსებულია რესურსი, რომელიც ხელმისაწვდომია ბავშვებისათვის. კედლებზე განთავსებული მასალის ნაწილი არ არის ფუნქციური, ვიზუალური მინიშნებები არის ბავშვების სიმაღლეზე. დაწესებულებაში არის ბუნებრივი, მეორადი და ხელნაკეთი რესურსი. გამოყოფილია ადგილი, სადაც განთავსდება ბავშვების ნამუშევრები, რესურსი განთავსებულია ღია თაროებზე, სათავსებში, ვიზუალური მინიშნებებით. დაწესებულებაში არის დარბაზი, რომელიც აღჭურვილია მრავალფეროვანი სპორტული ინვენტარით, დარბაზში დგას ფორტეპიანო და მუსიკალური ცენტრი. ეზო არ არის აღჭურვილი საჭირო რესურსით. დაწესებულებას მეორე სტანდარტის 2.2 კომპონენტის ნაწილში გაწერილი აქვს შესაბამისობის გეგმა, შესაბამისობის ტიპი-მეტწილი, იდენტიფიცირებული შეუსაბამობის აღწერაში იკვეთება საკითხი „, არ არის საკმარისი სახელმძღვანელოები და ფიზიკური, სენსორული, შემეცნებითი რესურსი თემატური მიმართულებებისთვის; შიდა და გარე სივრცეები არ არის სრულად აღჭურვილი კურიკულუმის შესაბამისი რესურსით; ეზოში/გარე სივრცეში განთავსებული მოწყობილობები არაა ბავშვის ასაკის

შესაბამისი; ეზოში არაა განთავსებული ბალანსის აღჭურვილობა; საცოცი/ასაძრომი და გასაძრომი კონსტრუქციები; სივრცე დრამატული თამაშებისთვის; არ არის სკამები/დასაჯდომი და მაგიდა; სათამაშო სახლი/კარავი/სივრცე განმარტოებისთვის; საქვიშე; სასრიალო; დაწესებულებას არ აქვს მზისგან და წვიმისგან დამცავი საშუალება/საჩრდილობელი”. შესაბამისობის გეგმის-, „შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა/აქტივობების” გრაფაში იკითხება „ ფინანსების მოძიება, ბაზრის კვლევა/ტენდერის გამოცხადება, შესყიდვის პროცესის განხორციელება”

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არის მეტწილად დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ პერიოდში (01/08/2025-01/08/2026) ფინანსების მოძიება, ბაზრის კვლევა/ტენდერის გამოცხადება, შესყიდვის პროცესის განხორციელება, რათა დაწესებულების ეზო აღჭურვილ იქნას შერჩეული კურიკულუმების შესაბამისი, ბავშვებისათვის ხელმისაწვდომი რესურსით.

რჩევა

.....
.....
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად რომ ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ვიზუალური დათვალიერებით, ჯგუფურ ოთახებში ბავშვებს აქვთ აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის საშუალება, ჯგუფის ოთახები დაყოფილია ცენტრებად/სივრცეებად. ცენტრებში/სივრცეებში ბავშვებს შეუძლიათ ითამაშონ პასიური თამაშები (ხელოვნების ცენტრი, სამაგიდო ცენტრი, წიგნიერების ცენტრი); ასევე შეუძლიათ ჩაერთონ აქტიურ თამაშებში (დრამის და კუბურების/კონსტრუქციის ცენტრი). ცენტრებში/სივრცეებში შეუძლიათ ითამაშონ მცირე ჯგუფებად. ჯგუფების ფართი იძლევა საშუალებას ჩაერთონ დიდ ჯგუფურ აქტივობებში. აქვთ დასვენების შესაძლებლობა, რისთვისაც მოწყობილია საძინებელი, ბავშვებს ასევე აქვთ განმარტოების შესაძლებლობა, რისთვისაც ჯგუფებში მოწყობილია წყნარი სივრცეები

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2.2.4. დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბერის N 505 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ მე-8 მუხლში (ბავშვზე დაკვირვების და შეფასების მეთოდები) იკითხება „დაწესებულება იყენებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს და ამ მიმართულებით დანერგული აქვს თანმიმდევრული პრაქტიკა“. დაწესებულება ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასებისათვის იყენებს შემდეგ მეთოდებს: ა) ობიექტური დაკვირვების ჩანაწერები; ბ) მოკლე კითხვარები; გ) ჩეკლისტები. „შეფასებისა და დაკვირვების ფორმები მტკიცდება გაერთიანების დირექტორის ბრძანებით და წარმოდგენილია ამ წესის დანართების სახით“-ვკითხულობთ აღნიშნულ წესში, დანართის სახით წარმოდგენილია „ბავშვის შეფასების ფორმა“(რომელიც მოიცავს ბავშვის განვითარების სფეროებს); ASQ-SE ასაკის და ეტაპების კითხვარების ფარგლებში თანდართულია მხოლოდ ინსტრუმენტის თავფურცელი, თანდართული ინსტრუმენტი არ ახლავს. „ბავშვზე დაკვირვება პერმანენტული უწყვეტი პროცესია, „ბავშვის შეფასება ხორციელდება წელიწადში ორჯერ“-ვკითხულობთ აღნიშნულ წესში. „ბავშვზე დაკვირვებას ახორციელებს აღმზრდელი და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი, ოჯახის ჩართულობით“-იკითხება აღნიშნულ წესში. აღნიშნული წესის დამტკიცების ბრძანების შინაარსში არ იკითხება ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების ფორმების დამტკიცების შესახებ, შინაარსში მითითებულია დანართი (6 ფურცლად), რომელიც არის „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“, ცალკე ბავშვზე დაკვირვების და შეფასების ფორმების დამტკიცებაზე დირექტორის ბრძანება არ იქნა მოძიებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა მტკიცებულება, რომელიც მისაღებია და შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნას. 2025 წლის 07 ოქტომბრის #433 ბრძანების შესაბამისად ცვლილება განხორციელდა ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბერის N 505 ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესში“ და ბავშვზე დაკვირვების და შეფასების ფორმები დანართების სახით დამტკიცდა „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსების შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესთან ერთად“. (მტკიცებულება დანართი #2 ბრძანება #433 07.10.2025წ). აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებების, პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 29 ნოემბერი 2024 წლის N 505 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესში,“ მუხლი 8 (ბავშვზე დაკვირვების და შეფასების მეთოდები) იკითხება: „დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვების და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს: ა) ბავშვის ინტერესების გამოვლენას; ბ) ბავშვის პროგრესის დანახვას განვითარების ყველა სფეროში“. აღმზრდელებთან ინტერვიუს გზით დასტურდება, რომ თითოეული ბავშვზე დაკვირვება და შეფასება ასევე ემსახურება ბავშვების ინტერესების გამოვლენას, რასაც შემდგომში გაითვალისწინებენ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



3. შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდულიზაციისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 29 ნოემბერი 2024 წლის N 505 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ განსაზღვრავს, რომ ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგების ანალიზისა და გამოვლენილ საჭიროებებზე რეაგირება ხორციელდება: ა) მოკლევადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით; ბ) გრძელვადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით; გ) საგანმანათლებლო რესურსის განსაზღვრის დროს. დ) დაწესებულების სამოქმედო გეგმის შედგენის დროს; ე) ინდივიდუალური გეგმის შედგენის დროს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

4. ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 29 ნოემბერი 2024 წლის N 505 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ მუხლი 9 (ბავშვის შეფასების შედეგების განხილვა) არეგულირებს ბავშვის შეფასების პროცესში ოჯახის ჩართულობას. აღნიშნულ მუხლში ვკითხულობთ: „დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას, ბავშვის შეფასების შედეგების განხილვა ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხორციელდება ინდივიდუალურად“. დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს „ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში“-ვკითხულობთ აღნიშნული წესის მე-8 მუხლში (ბავშვზე დაკვირვების და შეფასების მეთოდები).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 29 ნოემბერი 2024 წლის N 505 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი;“
2. ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 24 დეკემბერი 2024 წლის ბრძანება N-525 „გრძელვადიანი გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;“
3. ინტერვიუს შედეგები.
4. „კურიკულუმის გაცნობისა და შერჩევის სამუშაო ჯგუფის სხდომის“ ოქმი N-1. 05 სექტემბერი 2024 წელი.
5. ფიზიკური გარემოს ფოტოები;
6. ინვენტარიზაციის დოკუმენტი;
7. სათამაშოების მიღების აქტი, საკანცელარიო მასალის მიღების აქტი;
8. წიგნების აღრიცხვის ჟურნალი
9. ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის N2 განყოფილების შესაბამისობის გეგმა

შეფასება:

2.2. კურიკულუმის განხორციელება

შესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>
-------------------------------------	--	---	---



2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

2.3.1. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პრაქტიკა

1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასებას, უკუკავშირს მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა დამტკიცებული „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“. ამ წესის მუხლი 4 „კურიკულუმის შეფასება და განვითარება“არეგულირებს კურიკულუმის შეფასებას და განვითარებას. აღნიშნული წესის შესაბამისად კურიკულუმის შეფასების პროცესი ეფუძნება; ა) საგანმანათლებლო პროცესის შეფასებას; ბ) ფიზიკური გარემოს შეფასებას; გ) მშობლების უკუკავშირს; დ) საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას. „კურიკულუმის შეფასება ხორციელდება ორ წელიწადში ერთხელ, კურიკულუმის შეფასებისთვის გაერთიანების დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი“-გვითხოვლობთ აღნიშნულ წესში. შესაბამისად ამისა, დაწესებულებაში არსებობს ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 2025 წლის 27 თებერვლის ბრძანება N-115 „კურიკულუმის შეფასების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“. ჯგუფი არის შემდეგი შემადგენლობით: განყოფილების უფროსი სასწავლო აღმზრდელობით და განყოფილებებთან ურთიერთობის საკითხებში; მთავარი სპეციალისტი მეთოდურ საკითხებში; კოორდინატორი სასწავლო აღმზრდელობით დარგში; წამყვანი სპეციალისტები განყოფილებებთან ურთიერთობის საკითხებში; N-2 განყოფილების მეთოდისტი. ინტერვიუ განხორციელდა განყოფილების გამგესთან სასწავლო აღმზრდელობით და განყოფილებებთან ურთიერთობის საკითხებში, მან აღნიშნა, რომ კურიკულუმის შეფასებისთვის „მზა სახის კითხვარები,“ ასევე მშობლისგან უკუკავშირის მისაღებად გამოსაყენებელი კითხვარები არის შემუშავების პროცესში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



2. დაწესებულება აანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში არსებობს ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 26 აგვისტო 2024 წლის N-303¹ ბრძანებით დამტკიცებული „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“. ამ წესის მუხლი 5 (კურიკულუმში ცვლილებების შეტანა და განვითარება) არეგულირებს კურიკულუმის შეფასების საფუძველზე, გაკეთებული მიგნებების და რეკომენდაციების მიხედვით კურიკულუმში ცვლილებების შეტანის საკითხს, კურიკულუმში განხორციელებული ცვლილებები შეიძლება იყოს მასშტაბური ხასიათის ან წერტილოვანი. ამ დროისათვის წესის დამტკიცებიდან არ არის გასული შესაბამისი პერიოდი, რაც შესაძლებლობას მისცემდა დაწესებულებას განეხორციელებინათ ცვლილებები კურიკულუმში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწესებულებაში არსებობს ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 26 აგვისტო 2024 წლის N-303 (პრიმა) ბრძანებით დამტკიცებული „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“;
2. ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 2025 წლის 27 თებერვლის ბრძანება N-115 „კურიკულუმის შეფასების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“;
3. ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება			
შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

3. ოჯახისა და თემის ჩართულობა

3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

3.1.1. დაწესებულება ღიაა ოჯახთან და თემთან თანამშრომლობისთვის

1. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ გეგმავს აქტივობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში არსებობს ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 02. 08. 2024 წლის N-282¹ ბრძანებით დამტკიცებული „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“, აღნიშნული წესი განსაზღვრავს სამიზნე აუდიტორიის შერჩევას. სამიზნე აუდიტორია შედგება შიდა და გარე აუდიტორიად, შიდა აუდიტორიას განეკუთვნება: დაწესებულებათა გაერთიანების ადმინისტრაცია, დამხმარე პერსონალი. გარე აუდიტორიას განეკუთვნება: მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები სფეროში მოღვაწე კოლეგები, მუნიციპალიტეტის მერია, ამასთან არსებობს ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 17 ივლისი 2025 წლის N-243 (პრიმა) ბრძანება „ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის N-2; N-3; N-5 და N-12 განყოფილებების 2024-25 წლის საკომუნიკაციო გეგმების დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული ბრძანების დანართის სახით წარმოდგენილია „ ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის N-2 განყოფილების 2024-25 წლის საკომუნიკაციო გეგმა“. წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ დაწესებულების 2024-25 წლის საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების ბრძანება შედგენილია დაწესებულების 2024-2025 წლის საკომუნიკაციო გეგმის შედგენის შემდეგ. გეგმაში გაწერილია მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან განსახორციელებელი დაგეგმილი აქტივობები. დაწესებულების საკომუნიკაციო გეგმაში გაწერილი არ არის თემთან თანამშრომლობისთვის დაგეგმილი აქტივობები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

რჩევა



არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა მტკიცებულება, რომელიც მისაღება და შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნას. წარმოდგენილია ჩასწორებული „ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის N-2; N-3; N-5 და N-12 განყოფილებების 2024-25 წლის საკომუნიკაციო გეგმების დამტკიცების შესახებ“ ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 17 ივლისი 2025 წლის N-243 (პრიმა) ბრძანება და შესაბამისობაშია მოყვანილი საკომუნიკაციო გეგმასთან. (მტკიცებულება დანართი N3 ბრძანება #243/ 19.08.2024წ). აქვე განმარტებულია, რომ 2025-2026 წლის საკომუნიკაციო გეგმაში თემთან თანამშრომლობის მიზნით წინასწარაა განსაზღვრული თემთან თანამშრომლობის მიზნით განსახორციელებელი აქტივობები (მტკიცებულება დანართი #4 ბრძანება # 300/ 10.09.2025 საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების შესახებ და 2025-2026 წლის საკომუნიკაციო გეგმა). აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულება წახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება წახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით და გარეთ განსახორციელებელ ღონისძიებებში. ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 17 ივლისი 2025 წლის N-243 (პრიმა) ბრძანებით დამტკიცებულ „ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის N-2 განყოფილების 2024-25 წლის საკომუნიკაციო გეგმაში“ იკითხება მშობელთა სივრცეების მოწყობის აქტივობა, ასევე იკითხება მშობლების ჩართულობა აქტივობების დაგეგმვაში, განხორციელებაში, რაც არის წახალისების ფორმა. დაწესებულება ჩართულობის წახალისების მიზნით ოჯახს და თემს სთავაზობს მრავალფეროვან საკომუნიკაციო არხებს, რასაც განსაზღვრავს ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 02. 08. 2024 წლის N-282 (პრიმა) ბრძანებით დამტკიცებული „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“, მუხლი 4 (საკომუნიკაციო არხების შერჩევა). დაწესებულების მენეჯერთან და მეთოდისტთან ინტერვიუს გზით დადგინდა, რომ აქვთ ცოდნა თემისა და მშობლების წახალისების მიზნით გამოიყენონ წინასწარ მათი ინფორმირება ღონისძიებაში ჩართვასთან დაკავშირებით, ასევე გამოიყენონ სიტყვიერი წახალისების ფორმები (მადლობის ფორმა), განსახორციელებელი აქტივობის დროის მოახლოებისას მშობელთა დახურულ ჯგუფებში (ე.წ.ჩატებში) განმეორებით განათავსონ ინფორმაცია, წახალისების მიზნით დაწესებულების შესასვლელ სივრცეში მოწყობილია კუთხე „მშობელთა სურვილებისთვის“.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს და არხებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 02. 08. 2024 წლის N-282 (პრიმა) ბრძანებით დამტკიცებული „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის“ მუხლი 4 „საკომუნიკაციო არხების შერჩევა“, არეგულირებს მრავალფეროვანი საკომუნიკაციო არხების გამოყენებას, როგორცაა: ა) პირისპირ შეხვედრები; ბ) ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის სოციალური მედიის პლატფორმები; გ) საინფორმაციო დაფები; დ) მოკლე ტექსტური შეტყობინება/სატელეფონო ზარი; ე) სოციალური მედიის დახურული ჯგუფები **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 02. 08. 2024 წლის N-282 (პრიმა) ბრძანებით დამტკიცებული „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის“;



2. ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 17 ივლისი 2025 წლის N-243 (პრიმა) ბრძანებით დამტკიცებული,, ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის N-2 განყოფილების 2024-25 წლის საკომუნიკაციო გეგმა;“
3. ინტერვიუს შედეგები;
4. მშობელთა კუთხის ფოტო

შეფასება :			
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა			
შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

3.2.1. დაწესებულება მიზნობრივად წარმართავს ოჯახთან და თემთან ურთიერთობას

1. დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში არსებობს ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 17 ივლისი 2025 წლის N-243 ბრძანებით დამტკიცებული,, ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის N-2 განყოფილების 2024-25 წლის საკომუნიკაციო გეგმა“, სადაც იკითხება მშობლებთან რეგულარული კომუნიკაცია მათი ცნობიერების ამაღლების მიზნით: „სახლიდან ბაღში, ბაღიდან სკოლაში ტრანზიციის გამარტივების მიზნით განსახორციელებელი აქტივობების შესახებ შეხვედრა მშობლებთან“; „დაწესებულების მისიის, ხედვის, ღირებულებების, სამოქმედო გეგმის გაცნობის შესახებ შეხვედრა მშობლებთან“; „კურსკულუმის მიზნების, შინაარსის შესახებ მშობლებისათვის ინფორმაციის მიწოდება“; „ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა“. ინტერვიუს გზით დადასტურდა, რომ აღმზრდელებს აქვთ ცოდნა მშობლებს გააცნონ ბავშვთა უფლებების შესახებ. ვერ იქნა მოძიებული დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს მშობლების ცნობიერების ამაღლებას ასაკობრივი თავისებურებების და განვითარების სპეციფიკის შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ უკვე წარმოადგინა მტკიცებულება, რომელიც მისაღება და შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნას და ბავშვთა უფლებების, ასაკობრივი თავისებურებების და განვითარების სპეციფიკის შესახებ საკითხები უკვე გათვალისწინებულია 2025-2026 სასწავლო წლის ახალ საკომუნიკაციო გეგმაში. (მტკიცებულება დანართი #4 ბრძანება # 300/ 10.09.2025 საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების შესახებ და 2025-2026 წლის საკომუნიკაციო გეგმა). აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებული არიან ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 29 ნოემბერი 2024 წლის N 505 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ მუხლი 9 (ბავშვის პროგრესის შეფასების შედეგების განხილვა) განსაზღვრავს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლებისათვის ბავშვების შეფასების შედეგების გაცნობას. აღნიშნული წესის შესაბამისად, დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას, ბავშვის შეფასების შედეგების განხილვა ხორციელდება ინდივიდუალურად. „დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში, ბავშვის შეფასებას ახორციელებს აღმზრდელი ოჯახის ჩართულობით“-ვკითხულობთ აღნიშნული წესის მე-8 მუხლში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



3. დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მენეჯერთან, მეთოდისტთან ინტერვიუს გზით დადასტურდა, რომ გააზრებული აქვთ გამოიყენონ თემის რესურსი კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განსახორციელებლად (სკოლა, კაცხის სვეტის მონახულება). ვერ იქნა მოძიებული დოკუმენტი/ჩანაწერი, რომელიც თემის რესურსის გამოყენებას დაადასტურებს
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული
რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ უკვე წარმოადგინა მტკიცებულება და კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელებისათვის თემის რესურსის გამოყენება უკვე გათვალისწინებულია 2025-2026 სასწავლო წლის ახალ საკომუნიკაციო გეგმაში. (მტკიცებულება დანართი #4 ბრძანება # 300/10.09.2025 საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების შესახებ და 2025-2026 წლის საკომუნიკაციო გეგმა). მტკიცებულება მისაღებია.
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს შესაბამის ცვლილებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 02. 08. 2024 წლის N-282 (პრიმა) ბრძანებით დამტკიცებული „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის“ მუხლი-6 (განხორციელებული კომუნიკაციის შეფასების მექანიზმის განსაზღვრა) განსაზღვრავს შემდეგს: კომუნიკაციის მაღალი ხარისხის შენარჩუნებისათვის, სამიზნე აუდიტორიასთან კომუნიკაციის ეფექტიანობის შესაფასებლად, დაწესებულება იყენებს შემდეგ

მექანიზმებს ღია შეხვედრებს და კითხვარებს. ვერ იქნა მოძიებული დოკუმენტი/ჩანაწერი, რომელიც დაარეგულირებს ოჯახთან/თემთან განხორციელებული აქტივობების შეფასების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებების განხორციელებას.
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს ოჯახთან/თემთან განხორციელებული აქტივობების შეფასების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებას (დოკუმენტის ფორმის შემუშავება და დამტკიცება, რომელშიც აისახება განხორციელებული სამუშაოს შეფასებასთან დაკავშირებული საკითხი/საკითხები; შემუშავებული დოკუმენტაციის წარმოება). პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (გაერთიანების დირექტორი); საჭირო რესურსი (გაერთიანების მეთოდისტი; იურისტი) და ხარვეზის გამოსწორების 12 თვიანი პერიოდი (13.11. 2025-13.11.2026). აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილ შესაბამისობით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 02. 08. 2024 წლის N-282 (პრიმა) ბრძანებით დამტკიცებული „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“;
2. ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 29 ნოემბერი 2024 წლის N 505 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“;
3. ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 17 ივლისი 2025 წლის N-243 (პრიმა) ბრძანებით დამტკიცებული, „ ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის N-2 განყოფილების 2024-25 წლის საკომუნიკაციო გეგმა“;
4. ინტერვიუს შედეგები
5. ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის N2 განყოფილების შესაბამისობის გეგმა



შეფასება:			
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა⁴

4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

4.1.1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის N2 განყოფილებამ წარმოდგინა ორგანიზაციის სტრუქტურა გრაფიკული ფორმით - ორგანოგრამა. საშტატო ნუსხით და პირადი საქმეების შესწავლით დგინდება, რომ ბაღში დასაქმებულია 60 თანამშრომელი. კერძოდ, ბაღის მენეჯერი, მეთოდისტი, აღმზრდელი-10, აღმზრდელის თანაშემწე-29, ფსიქოლოგი-2, ლოგოპედი-1, მუსიკის მასწავლებელი-1, ქორეოგრაფი-1, ექთანი-3, მომმარაგებელი-1, მწე-1, დამლაგებელი-2, მრეცხავი-1, მეთეთრეულე-1, მეეზოვე-1, ზეინკალი-1, მზარეული-1, მზარეულის დამხმარე-2. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი ორგანოგრამაზე არ არის აღნიშნული მზარეულისა და მზარეულის დამხმარის გრაფა. თუმცა საშტატო განრიგით და გაფორმებული ხელშეკრულებებით დასტურდება N2 განყოფილებაში მათი მუშაობის ფაქტი. საშტატო ნუსხით პოზიციაზე დასაქმებულ პირთა რაოდენობა აკმაყოფილებს, ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის N2 განყოფილებაში მიმდინარე ყველა პროცესების შესრულებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, რამდენადაც ბაღში დასაქმებული ყველ პოზიციისთვის განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები. საქართველოს კანონით „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“

⁴ აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გაითვალისწინეთ დაწესებულების სტატუსის მამიებლის თითოეული პროგრამის სახის/კურიკულუმის სპეციფიკა და დამატებით წარმოადგინეთ მათი შეფასების შესახებ ინფორმაცია (ასეთი საჭიროების შემთხვევაში).

დადგენილი, ჯგუფში აღმზრდელისა და ბავშვის თანაფარდობის, შესაბამისად ბაღში დასაქმებულია აღმზრდელთა საჭირო რაოდენობა (11 აღმზრდელი). დაწესებულების სტრუქტურა ასევე ითვალისწინებს ბაღში საკონსულტაციო საბჭო არსებობას.

ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 2024 წლის 18 ნოემბრის N491 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვის წესი“ განსაზღვრავს გაერთიანების სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებულ პირთა ფუნქციებს, პასუხისმგებლობებს, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ანგარიშვალდებულებისა და ურთიერთჩანაცვლების სისტემას. რაც შეეხება N2 განყოფილებაში დასაქმებული პირებს, ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 2022 წლის 12 ოქტომბრის N436 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესით განსაზღვრულის მათი ფუნქციები, ხოლო საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ურთიერთჩანაცვლების საკითხები წარმოდგენილია ბაღის პერსონალთან გაფორმებული შრომით ხელშეკრულების დანართის სახით.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულება დაკომპლექტებულია საჭირო რაოდენობის პერსონალით, რაც უზრუნველყოფს ბაღში მიმდინარე ყველა პროცესის განხორციელებას. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პოზიციაზე დასაქმებული პირებისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, განსაზღვრულია ანგარიშგებისა და ურთიერთჩანაცვლების სისტემები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

სასურველია, საშტატო ნუსხის შესაბამისად ბაღის ორგანოგრამაზე აღინიშნოს მზარეულისა და მზარეულის დამხმარის გრაფები.

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 2024 წლის 18 ნოემბრის N491 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვის წესი“ არეგულირებს დაწესებულების იერარქიულ სტრუქტურას და თითოეული თანამშრომლის მიერ შესასრულებელი ფუნქციების მკაფიოობას,

რაც გულისხმობს თითოეული პოზიციის შესასრულებელი სამუშაოების და პასუხისმგებლობების, საკვალიფიკაციო მოთხოვნების, ანგარიშვალდებულების და ურთიერთჩანაცვლების სისტემის განსაზღვრას. N2 განყოფილებაში დასაქმებული პირების ფუნქციები წარმოდგენილია შინაგანაწესით და შრომითი ხელშეკრულების დანართის სახით, სადაც კიდევ უფრო მკაფიოდაა განსაზღვრული პოზიციაზე დასაქმებული პირის ფუნქცია-მოვალეობა, ურთიერთჩანაცვლების საკითხი, გარდა განსაზღვრული ძირითადი უფლება-მოვალეობისა დაწესებულების საჭიროებიდან კიდევ რა ფუნქციები შეიძლება დაეკოსროს მას, განსაზღვრულია პოზიციის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და დასაქმებულის ვალდებულება ფლობდეს და აკმაყოფილებდეს გარკვეულ პიროვნულ მახასიათებლებსა და უნარებს. დასაქმებული ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების გაცნობის ფაქტს. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პოზიციაზე დასაქმებული პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც წარმოდგენილია ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის N2 განყოფილებაში დასაქმებული პირების შრომითი ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილის სახით. პერსონალის პირადი საქმეების შესწავლით დგინდება, რომ დაწესებულებაში დასაქმებლის პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია



რჩევა

სასურველია საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრის დროს, დაწესებულებამ განათლების და პროფესიული მახასიათებლების გარდა კიდევ გაითვალისწინოს ისეთი საკითხები, როგორცაა: სამუშაო გამოცდილება, უნარები და შესაძლებლობები, სხვა დამატებით მოთხოვნები პოზიციასთან დაკავშირებით (მაგ.: სამუშაოსთან დაკავშირებული საკანონმდებო აქტების ცოდნა)

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ამ ეტაპზე ბალის ყველა საგანმანათლებლო პერსონალი არ არის გადამზადებული პირველადი დახმარების აღმოჩენის მიმართულებით. თუმცა დაწესებულებამ საგანმანათლებლო პერსონალის გარკვეული რაოდენობა გადამზადა აღნიშნული მიმართულებით. ბაღში დასაქმებული საგანმანათლებლო პერსონალისა პირადი საქმეების შესწავლით დგინდება, რომ პირველადი გადაუდებელი დახმარების მიმართულებით გადამზადდა 8 აღმზრდელი, 1 აღმზრდელის თანაშემწე და ექთანი. ინტერვიუთი დგინდება, რომ ბაღი შეეცადა ყველა ჯგუფში იყო მინიმუმ 1 პირი, რომელსაც გავლილი აქვს პირველადი დახმარების კომპეტენცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო ყველა პერსონალის გადამზდება პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენციის მიმართულებით, რაც დადასტურდება შესაბამისი სერთიფიკატით.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებას (1. პირველადი დახმარების წესის შემუშავება და დამტკიცება 2.პერსონალის გადამზადებული ტრენინგების მოძიება; 3. შესყიდვის განხორციელება), პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული

ერთეული (გაერთიანების დირექტორი), საჭირო რესურსი (განყოფილების მენეჯერი; შესყიდვების სპეციალისტი; იურისტი; გაერთიანების ბიუჯეტი) და ხარვეზის გამოსწორების 12 თვიანი პერიოდი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილ შესაბამისობით.

4.1.2. დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალის მართვის მექანიზმი

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 2024 წლის 18 ნოემბრის N491 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვის წესი“ და ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 2022 წლის 12 ოქტომბრის N436 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი არეგულირებს დაწესებულებაში პერსონალის მართვის წესებსა და პირობებს.

ადამიანური რესურსის მართვის დოკუმენტი ადგენს ადამიანური რესურსების მართვის ციკლს: დაგეგმვა/ორგანიზაციაში შესვლა/სამუშაოს მართვა/ორგანიზაციიდან გასვლა. ასევე, განსაზღვრავს დაწესებულების სტრუქტურას: დასაქმებულთა იერარქიას, პირებს, დაქვემდებარებას, ანგარიშვალდებულებას, კავშირებს. შინაგანაწესით რეგულირდება დაწესებულებაში დასაქმებული პირების შრომითი ურთიერთობები, წახალისებისა და დისციპლინური ღონისძიებების გამოყენების წესები, განყოფილებებში დასაქმებულ პირთა ფუნქციები, საბავშვო ბაღის საქმიანობის საკითხები. კერძოდ, ბაღის მიზნები, ბავშვის მიღება და ჯგუფების დაკომპლექტების წესები. ასევე გახანგრძლივებული ჯგუფის ფუნქციონირების პირობები. შინაგანაწესი განსაზღვრავს განცხადებების/საჩივრების განხილვის წესს. წარმოდგენილი მარეგულირებელი დოკუმენტები შეესაბამება კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებს.

პირადი საქმეების შესწავლით და ინტერვიუთი დგინდება, რომ დაწესებულებაში პერსონალის აყვანა ხდება პირდაპირი დანიშვნის გზით, შრომით ხელშეკრულების საფუძველზე. პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები აკმაყოფილებს შრომის კოდექსის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების არსებითი პირობებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა



.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

2. აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის N2 განყოფილებას გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულება 11 აღმზრდელთან. გაფორმებული ხელშეკრულებები არ მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს. თუმცა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ რეალურად აღმზრდელები სარგებლობენ არასაკონტაქტო საათით და მათთვის გამოყოფილია სივრცე არასაკონტაქტო საათის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობის განსახორციელებლად.

ბაღმა წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც აღნიშნულია, რომ დაწესებულება 2026 წლის 1 აგვისტომდე უზრუნველყოფს შესაბამისი ხელშეკრულების მომზადებას, რისთვისაც განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი და ადამინაური რესურსი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ პერიოდში (01/08/2025-01/08/2026) აღმზრდელებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების ასახვა და ასევე განისაზღვროს საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობები.

.....
.....
რჩევა
.....
.....

.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები განსაზღვრულია ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 2024 წლის 18 ნოემბრის N491 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვის წესით“. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის დადგენილი პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვას და დასაქმებას, რამდენადაც თითოეული პოზიციისთვის განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები. პერსონალის მართვის წესი განსაზღვრავს ვაკანტურ პოზიციაზე შერჩევის გზებს. კერძოდ კონკურსის ჩატარებით (ღია/დახურული) და პირდაპირი დანიშვნით. გაწერილია კონკურსის ჩატარების ეტაპები, ჩაშლის საფუძვლები, საკონკურსო და საპრეტენზიო კომისიების არჩევის და ფუნქციონირების წესები. რაც შეეხება პირდაპირი დანიშვნის ეტაპებს, დაწესებულება ეყრდნობა ვაკანტური პოზიციის მიმართ დადგენილ მოთხოვნებს. პირდაპირი დანიშვნის გზით ვაკანტური პოზიციის დაკავებამდე, კანდიდატთან ტარდება გასაუბრება. პერსონალის მარეგულირებელის წესი ადგენს გარკვეულ შეზღუდვებს დაწესებულებაში დასაქმების მსურველებზე. კერძოდ, საქართველოს კანონის „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ გათვალისწინებით დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლავი პირი, მიუხედავად ნასამართლობის მოხსნისა ან გაქარწყლებისა. დააწესებულების მიერ განსაზღვრული რეგულაციების მიუთითებს, პერსონალის შერჩევა/დანიშვნის პროცესი მაქსიმალურად უნდა გამორიცხავდეს სუბიექტურ გადაწყვეტილებების მიღებას და გამოყენებული პროცედურები და მეთოდები არის გამჭვირვალე. ინტერვიუს და პერსონალის პირადი საქმეების შესწავლით დგინდება, რომ დაწესებულებაში პერსონალის შერჩევა ხდება პირდაპირი დანიშვნის გზით, დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად. პერსონალის პირად საქმეებში წარმოდგენილია პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომლებიც ითვალისწინებს შრომის კოდექსით განსაზღვრულ ხელშეკრულების არსებით პირობებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....



არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პერსონალის მართვის წესი განსაზღვრავს ახალი თანამშრომლის, სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის მექანიზმებს. კერძოდ, ახალი თანამშრომლისთვის ორგანიზაციის მისიის, ღირებულებების, ისტორიის, სტრუქტურის გაცნობა, ახალი თანამშრომლის გაცნობა გუნდის წევრებთან, ხელმძღვანელებთან და სხვა კოლეგებთან, საჭირო რესურსებზე, აღჭურვილობაზე, პროგრამულ უზრუნველყოფაზე ახალი თანამშრომლის წვდომის უზრუნველყოფა; ამ წესის, შინაგანაწესის, მისი პოზიციისთვის შემუშავებული სამუშაო აღწერილობის, უსაფრთხოების წესების და დაწესებულებაში არსებული სხვა ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ ახალი თანამშრომლის ინფორმირება უკუკავშირის კულტურის გაძლიერება. პერსონალის მართვის წესის დანართებს წარმოადგენს შინაგანაწესის გაცნობა/ გაზიარების და დაწესებულების მისიის, ხედვის, ღირებულებების, ისტორიისა და სტრუქტურის გაცნობა/გაზიარების ხელწერილის ფორმები. პირადი საქმეების შესწავლით ირკვევა, რომ ყველა თანამშრომლის პირად საქმეშია განთავსებული შინაგანაწესის გაცნობის ხელმოწერილი ფორმა, ხოლო ახლადსაქმეებული თანამშრომლის პირად საქმეში მისიის, ხედვის, ღირებულებების, ისტორიისა და სტრუქტურის გაცნობა/გაზიარების ხელწერილის ფორმები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

5. დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას ორგანიზაციული კულტურის პრინციპები განსაზღვრული აქვს ღირებულებებით. კერძოდ დაწესებულების ორგანიზაციული კულტურა დაფუძნებულია თანამშრომლობით და გუნდური მუშაობის პრინციპზე, რომელიც გამოჩნდა მისია, ხედვა და ღირებულებების ფორმირების პროცესში, სამუშაო ჯგუფის შექმნითა და ერთობლივი მუშაობით. კურიკულუმის შერჩევის დროს, გრძლევადიანი თუ მოკლევადიანი გეგმების შემუშავებასა და განხორციელებაში. გუნდურობა კარგად ჩანდა ვიზიტის დროს, დაწესებულების მთელი პერსონალი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ჩართული იყო პროცესში. გუნდური მუშაობის დამსახურება ბაღში მოწყობილი ჯგუფური ოთახების აღჭურვა მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსით, რაზეც ბაღის თანამშრომლები სიამოვნებით საუბრობენ და აღწერენ რესურსების მოძიების და შექმნის პროცესს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

.....
.....

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

4.1.3. დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 2024 წლის 18 ნოემბრის N491 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვის წესის“ მე-19 მუხლი ადგენს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით პროფესიული საჭიროებათა მოკვლევის საკითხებს. დოკუმენტი განსაზღვრავს შეფასების პროცესში მონაწილე მხარეებს, შეფასების ასპექტებს, საჭიროებათა მოკვლევის მეთოდებს და ეტაპებს. დოკუმენტის თანახმად შეფასებას ექვემდებარება დაწესებულების ყველა თანამშრომელი. გარდა იმ თანამშრომლებისა რომელთა დაწესებულებაში მუშაობის პერიოდი 6 (ექვსი) თვეზე ნაკლებია, დაწესებულების ტექნიკური პერსონალი და გარე სერვისები. დოკუმენტი განსაზღვრავს პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და საჭიროებათა მოკვლევის მეთოდებს: კითხვარებისა და სამუშაოზე დაკვირვების სახით, თუმცა არ ჩანს რა პერიოდულობით ხდება პერსონალის შეფასება და ვინ არის შემფასებელი. არ არის წარმოდგენილი პერსონალის შეფასებისა და სამუშაოზე დაკვირვების ინსტრუმენტები. საჭიროებათა კვლევა, ძირითადად ყოველდღიური დაკვირვებით და სისტემაში მოქმედი კ

ანონიმულობის შესაბამისად ხორციელდება. დაწესებულებამ პერსონალი გადაამზადება გარკვეული საჭიროებების მიხედვით. კერძოდ, აღმზრდელები (6 აღმზრდელი) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ შემუშავებული აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ მოდულის შესაბამისად. ასევე სურსათის უვნებლობის მენეჯმენტის სისტემის HACCP დანერგვასთან დაკავშირებით გადამზადდა ბაღის ხელმძღვანელი, მომარაგებელი, მზარეული, მზარეულის დამხმარე, და მწე. პირველადი გადაუდებელი დახმარების მიმართულებით 8 აღმზრდელი, აღმზრდელის თანაშემწე და ექთანი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პერსონალისა და შეფასებისა და საჭიროებათა მოკვლევის მეთოდებს, თუმცა არ არის განსაზღვრული პერსონალის სამუშაოს შეფასების პერიოდულობა და პასუხისმგებელი პირი. ასევე, არ არის წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები (კითხვარენი ან/ და დაკვირვების ფორმები). პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული ტრენინგები სპონტანურია და ძირითადად ავტორიზაციის სტანდარტის დასაკმაყოფილებლად არის განხორციელებული, თუმცა განხორციელებული ტრენინგები ემსახურება დასაქმებული პროფესიულ განვითარებას. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტში განსაზღვროს პერსონალის საქმიანობის შეფასების პერიოდულობა და პასუხისმგებელი პირი. შეიმუშაოს შეფასებისა და საჭიროებათა მოკვლევის კითხვარები და დაკვირვების ფორმები. მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისად უზრუნველყოს პერსონალის საქმიანობის შეფასება და საჭიროებათა მოკვლევა, რომელიც მიმართული იქნება პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე.

რჩევა



არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებას (1. დაწესებულების პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში პერსონალის საქმიანობის შეფასების პერიოდულობის და პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა; 2. შეფასებისა და საჭიროებათა მოკვლევის კითხვარების და დაკვირვების ფორმების შემუშავება და დამტკიცება; 3. მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისად პერსონალის საქმიანობის შეფასება და საჭიროებათა მოკვლევა, რომელიც მიმართული იქნება პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე;), პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (გაერთიანების დირექტორი), საჭირო რესურსი (გაერთიანების მეთოდისტი; განყოფილების მენეჯერი) და ხარვეზის გამოსწორების 12 თვიანი პერიოდი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილ შესაბამისობით.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 2024 წლის 18 ნოემბრის N491 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვის წესის“ მე-20 მუხლი არეგულირებს პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმებს, კერძოდ, შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე დაწესებულება გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელებისას დაწესებულება თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს დაწესებულების ბაზაზე. ადგენს პროფესიული განვითარების გეგმას, სადაც აისახება შესაბამისი აქტივობები და საჭირო ბიუჯეტი. პერსონალის მარეგულირებელი წესის 24-ე მუხლით „გარდამავალი დებულებებით“ განსაზღვრულია, რომ „თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარების გაწერილი რეგულაციები (მე-20 მუხლი) ამოქმედდება 2025 წლის 01 სექტემბერიდან. აღნიშნულით დაწესებულება აცხადებს მზადყოფნას პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარება განხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების შედეგად შემუშავებული პროფესიული განვითარების გეგმის შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის მე-20 მუხლი განსაზღვრავს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების ხელშეწყობის მექანიზმებს. კერძოდ, პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დაწესებულების მიერ ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად, ასევე ზეპირსიტყვიერად/წერილობით პერსონალის მხრიდან. როგორც აღვნიშნეთ, აღნიშნულ მუხლს დაწესებულება აამოქმედებს 2025 წლის 1 სექტემბრიდან. წარმოდგენილი მექანიზმებით დაწესებულება აცხადებს მზადყოფნას ხელი შეუწყოს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.



1. ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 2024 წლის 18 ნოემბრის N491 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვის წესი“
2. ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 2022 წლის 12 ოქტომბრის N436 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი
3. ბაღის სტრუქტურა/ორგანოგრამა;
4. პერსონალის პირადი საქმეები.
5. შრომითი ხელშეკრულებები
6. სერთიფიკატები
7. ინტერვიუს შედეგები
8. ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის N2 განყოფილების შესაბამისობის გეგმა

შეფასება:			
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

4.2. პროცესების მართვა

4.2.1. დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას

1. დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებებლმა წარმოადგინა ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის ხელმძღვანელის 2024 წლის 30 დეკემბრის N 534 ბრძანებით დამტკიცებული „პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის წესი“, სადაც იდენტიფიცირებული და აღწერილია დაწესებულების მმართველობით, ძირითად და დამხარე პროცესები. დოკუმენტი განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს-ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს.

მმართველობითი პროცესებია: სტრატეგიული დაგეგმარება და ხარისხის უზრუნველყოფა.

ძირითადი პროცესებია: კურიკულუმის შერჩევა/შემუშავება, განხორციელება, შეფასება და განვითარება; საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება; ბავშვების რაოდენობის მართვა (რეგისტრაცია, ჩარიცხვა, ამორიცხვა); სსსმ ბავშვების მომსახურება; ოჯახთან და თემთან ურთიერთობა;

დამხმარე პროცესები: ადამიანური რესურსების მართვა; მატერიალური რესურსის მართვა; საქმისწარმოება (დოკუმენტობრუნვა); პერსონალის და ბავშვების ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების დაცვა; ფინანსური რესურსების მართვა; სანიტარულ-ჰიგიენური პროცესების მართვა; ბავშვთა კვების უზრუნველყოფის პროცესის მართვა; სხვა სერვისები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2. პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

როგორც აღვნიშნეთ დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის წესი“. პროცესების აღმწერები მოიცავს, პროცესის დასახელებას, ახდენს პროცესის მფლობელის იდენტიფიცირებას, განსაზღვრავს პროცესის შემადგენელ ეტაპებს/ქვეპროცესებს და პროცესის მარეგულირებელ წესს/მექანიზმს. პროცესების მარეგულირებელი მექანიზმები ეფუძნება, ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-გააუმჯობესე (დემინგის ციკლი). დოკუმენტი განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს-ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს, რომლის ფუნქციებიც გაწერილა პერსონალის მარეგულირებელ წესში. კერძოდ, ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემების სრულყოფა, დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შეფასება და რეკომენდაციების გაცემა, პროცესების განხორციელების პრაქტიკის გაუმჯობესება და პროცესების მარეგულირებე აქტებთან შესაბამისობაში

მოყვანა. ყოველწლიური თვითშეფასების საფუძველზე გამოვლენილი რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირება და ანალიზი, ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმის შემუშავება, პროცესების შემოწმების შესახებ ანგარიშის მომზადება, მიმდინარე პროცესების სტანდარტთან შესაბამისობის კონტროლი. „პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის წესი“ დაწესებულებამ შეიმუშავა 2024 წლის 30 დეკემბრს. დაწესებულებაში იდენტიფიცირებული ყველა პროცესი სრულყოფილი ციკლით ჯერ არ განხორციელებულა. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას ყველა პროცესისთვის შემუშავებული აქვს პროცესის მარეგულირებელი წესი/მექანიზმები, ჰყავს ხარისხზე პასუხისმგებელი პირის. აღნიშნულით, დაწესებულება აცხადებს მზაობას პროცესები განხორციელდეს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

3. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მამიებელმა წარმოდგინა ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის ხელმძღვანელის 2024 წლის 18 ნოემბრის №492 ბრძანებით დამტკიცებული „ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“, რომელიც განსაზღვრავს ბავშვის ჩარიცხვა-ამორიცხვის პრინციპებს, ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესის ფორმებს, პერიოდულობას, ვადებს, ეტაპებს, ბავშვის ამორიცხვა, გადაყვანა და მათი განხორციელების წესებს, ზღვრული რაოდენობის ფარგლებში ბავშვების ჩარიცხვის წესს, სარეზერვო სიების წარმოება, პროცესების წარმართვაზე პასუხისმგებელი პირს/ორგანოს. ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელ წესს დანართების სახით ახლავს: ჩარიცხვის განაცხადის ფორმა, ბავშვის სარეგისტრაციო ანკეტა, ნებართვის ფორმები- კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების ფარგლებში ბავშვის დაწესებულების გარეთ გაყვანაზე და სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ბავშვის ფოტო-ვიდეო გადაღებაზე ან/ და გამოქმენებაზე, მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულების შაბლონი.

დადგენილი რეგულაციების შესაბამისად დაწესებულებამ წარმოადგინა აა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 2025 წლის 20 აგვისტოს ბრძანება, 2025-2026 სასწავლო წლისთვის გაერთიანების განყოფილებებში აღსაზრდელოთა ჩარიცხვის შესახებ. ბრძანება ასევე განსაზღვრავს ბაღში მიღების ვადებს. დაწესებულების შინაგანაწესით რეგულირდება საბავშვო ბაღში სააღმზრდელო ჯგუფების დაკომპლექტების წესები. ასევე გაწერილია ბავშვის მიღების (ჩარიცხვა) დროს წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი და გახანგრძლივებული ჯგუფების ფორმირების პირობები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

4. დაწესებულება აწარმოებს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის ხელმძღვანელის 2024 წლის 18 ნოემბრის №492 ბრძანებით დამტკიცებული „ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესის“ და ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 2022 წლის 12 ოქტომბრის N436 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი განსაზღვრავს ბაღში ჩარიცხვისთვის წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს. ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესის მიხედვით ჩარიცხვისთვის წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტები შემდგომ ინახება ბავშვის პირად საქმეში. თუმცა არც ერთი დოკუმენტი არ განსაზღვრავს ვინ არის პასუხისმგებელი ბავშვის პირადი საქმეების წარმოებაზე და სად ინახება იგი. ასევე შინაგანაწესით და ბავშვის ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელ წესით განსაზღვრული, წარსადგენი დოკუმენტების ნუსხაც არ არის თანხვედრაში. გარდა შინაგანაწესით განსაზღვრული დოკუმენტების ჩამონათვალისა (მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი, ბავშვის ჯანმრთელობის ცნობა) ბავშვის ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელ წესით განსაზღვრულია ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტების ჩამონათვალი, როგორცაა:

- ✓ მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება დაწესებულების დირექტორის სახელზე ;

- ✓ რეგისტრაციის ანკეტა;
- ✓ ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი;
- ✓ ბავშვის ჯანმრთელობის ცნობა ან სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ფორმა N100;
- ✓ ბავშვის ფოტოსურათი 2 ცალი;
- ✓ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სპეციალისტის/დაწესებულების შესაბამისი დასკვნა/რეკომენდაცია ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- ✓ მშობლის (მშობლების)/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი;
- ✓ მშობლის (მშობლების)/კანონიერი წარმომადგენლის საკონტაქტო ინფორმაცია ტელეფონი/ელ.ფოსტა
- ✓ მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვა/უარყოფა ბავშვისთვის ფოტო და ვიდეო გადაღებაზე/გამოქვეყნებაზე;
- ✓ მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვა/უარყოფა ბავშვის დაწესებულების გარეთ გაყვანაზე (კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისთვის);
- ✓ ინფორმაცია ბავშვის ქრონიკული დაავადების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- ✓ ბავშვის სპეციალური საკვებისმიერი ალერგიების ან კვებითი აუტანლობის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა სარეგისტრაციო ანკეტის შაბლონი, სადაც მოთხოვნილია, როგორც მშობლის ასევე ოჯახის სხვა წევრის ალტერნატიული საკონტაქტო მონაცემები. ინტერვიუთი დაზუსტდა, რომ ალტერნატიული საკონტაქტო მონაცემებით დგინდება იმ პირთა სია ვინც უფლებამოსილნი არიან ბავშვის საბავშვო ბაღში მოყვანასა და წაყვანაზე.

რაც შეეხება პერსონალის პირადი საქმეების წარმოებას, რეგულირდება ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 2024 წლის 18 ნოემბრის N491 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვის წესის“ 22-ე მუხლით. პერსონალის მართვის წესის თანახმად, დაწესებულება აწარმოებს თანამშრომელთა პირად საქმეებს, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- ✓ განცხადებას დასაქმებაზე, რომელიც შეიცავს შემდეგ რეკვიზიტებს: სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია - ტელეფონი, ელფოსტის მისამართი, მისამართი;
- ✓ რეზიუმე;
- ✓ განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ასლი;
- ✓ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ✓ ცნობები/სერტიფიკატები/სხვა დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ პირის შესაბამისობას პოზიციისთვის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან;
- ✓ კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან თანხვედრის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ✓ შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული ბრძანებებისა და შრომითი ხელშეკრულებების ასლები;
- ✓ კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელი დოკუმენტები (მაგ: სერტიფიკატები);
- ✓ ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (განყოფილებების თანამშრომლები);
- ✓ შინაგანაწესის გაცნობა/გაზიარების ხელწერილი

პერსონალის მარეგულირებელის წესი ადგენს გარკვეულ შეზღუდვებს დაწესებულებაში დასაქმების მსურველებზე. კერძოდ, საქართველოს კანონის „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ გათვალისწინებით დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლავი პირი, მიუხედავად ნასამართლობის მოხსნისა ან გაქარწყლებისა. პერსონალის პირად საქმეებში წარმოდგენილია „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-181 მუხლის მიხედვით განსაზღვრული „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ ცნობები

პერსონალის პირადი საქმეების გაცნობით დგინდება, რომ პირადი საქმეები მოიცავს რეგულაციით დადგენილ უმეტეს დოკუმენტაციას, მხოლოდ განცხადება დასაქმებაზე და შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული ბრძანებები არ იყო წარმოდგენილი. ინტერვიუთ დადგინდა, რომ აღნიშნული განცხადება ინახება გაერთიანებულ მხოლოდ სხვა საქალაქოში. აღსანიშნავია, რომ „პერსონალის მართვის წესით“ და არც სხვა რომელიმე მარეგულირებელი დოკუმენტით არ არის განსაზღვრული რა დოკუმენტები უნდა ინახებოდეს მომსახურების მიწოდების ადგილზე და რა დოკუმენტები გაერთიანებაში, ასევე არ არის განსაზღვრული სამზარეულოს პერსონალისთვის ბაქტერიების და ჭიის არარეობის შესახებ ცნობების განახლების პერიოდი. აღნიშნული ცნობები არ არის წარმოდგენილი შესაბამისი პოზიციის პერსონალის პირად საქმეებში. პირადი საქმეების წარმოებაზე დაწესებულების სტუქტურით განსაზღვრულია იურდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება, სადაც არსებობს კადრების და საქმისწარმოების მთავარი სპეციალისტის პოზიცია, რომლის სამუშაო აღწერილობაში იკითხება, რომ ზედამხედველობს თანამშრომელთა პირადი საქმეების ადმინისტრირების პროცესს, ხოლო კადრების საკითხებში მთავარი სპეციალისტის ფუნქციას თანამშრომელთა პირადი საქმეების შედგენა და საჭირო დოკუმენტების შეგროვება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს, პირადი საქმეების წარმოების სრულყოფილი წესის შემუშავება, რომლის მიხედვითაც მოხდება პერსონალის და ბავშვის პირადი საქმეების წარმოება. პერსონალის პირად საქმეებში განთავსდეს „პერსონალის მართვის წესის“ 22-ე მუხლით განსაზღვრული დოკუმენტები.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებას (1. წესის შემუშავება და დამტკიცება; 2. პირადი საქმეების წესის მიხედვით წარმოება.), პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (გაერთიანების დირექტორი), საჭირო რესურსი (იურისტი; ადამიანური რესურსების წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი; განყოფილების მენეჯერი) და ხარვეზის გამოსწორების 12 თვიანი

პერიოდი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილ შესაბამისობით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის ხელმძღვანელის 2024 წლის 30 დეკემბრის N 534 ბრძანებით დამტკიცებული „პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის წესი“
2. ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის ხელმძღვანელის 2024 წლის 18 ნოემბრის №492 ბრძანებით დამტკიცებული „ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“
3. ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 2022 წლის 12 ოქტომბრის N436 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი
4. ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 2024 წლის 18 ნოემბრის N491 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვის წესი“
5. პერსონალის პირადი საქმეები
6. ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 2025 წლის 20 აგვისტოს ბრძანება საბავშვო ბაგა-ბაღის განყოფილებებში აღსაზრდელის ჩარიცხვის შესახებ.
7. ჩარიცხვის განაცხადის ფორმა
8. ბავშვის რეგისტრაციის ფორმა
9. პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულება
10. მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულების შაბლონი
11. ინტერვიუს შედეგები
12. ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის N2 განყოფილების შესაბამისობის გეგმა

შეფასება :			
4.2 პროცესების მართვა			
შეესაბამება.ა <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>



4.3. მატერიალური რესურსი

4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას

აღნიშნულ კომპონენტს შესახებ ინფორმაცია წარმოადგენილია დანართში „4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
4.3 მატერიალური რესურსი			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი

4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას

აღნიშნულ კომპონენტს შესახებ ინფორმაცია წარმოადგენილია დანართში „4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
4.4 კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

4.5.1 დაწესებულებაში დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები

აღნიშნულ კომპონენტს შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
4.5 სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

4.6.1. დაწესებულებაში დაცულია პერსონალის და ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოება

1. დაწესებულება უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას და საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით დაწესებულებაში გამოყოფილია სამედიცინო მომსახურების ოთახი და ჰყავს სამი ექთანი, რომლებიც აკმაყოფილებს ექთანის პოზიციისთვის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. პირველადი გადაუდებელი დახმარების მიმართულებით გადამზადებულია რვა აღმზრდელ, ერთი აღმზრდელის თანაშემწე და ექთანი. დაწესებულებას არა აქვს გაწერილი პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, რომელიც განსაზღვრავს თუ ვინ და როგორ არის პასუხისმგებელი პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენაზე. ექთანთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია მისი ფუნქციები, თუმცა არ გვხვდება ვადების კონტროლი პირველად სამედიცინო მასალებზე. რაც შეეხება საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმას, არ არის შეთანხმებული უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან, აღნიშნულ საკითხთან მიმართებით წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა, შესაბამისი აქტივობების და ვადების მითითებით.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულებას აქვს სამედიცინო დახმარების ოთახი და ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის სამედიცინო პერსონალი. არა აქვს დოკუმენტურად გაწერილი პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, არ აწარმოებს დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების აღრიცხვის ჟურნალს. არა აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან თუმცა, დაწესებულებამ ამ უკანასკნელზე წარმოდგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია საგანგებო სიტუაციების გეგმის შეთანხმების აქტივობა, პასუხისმგებელი პირი და ფინანსური რესურსები, ასევე განსაზღვრა ხარვეზის გამოსწორების ვადა 2026 წლის 1 აგვისტომდე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია



რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში 2026 წლის 13 ნოემბერი.

რჩევა

სასურველია, დაწესებულებას ჰქონდეს დოკუმენტი პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმების შესახებ, რომელიც განსაზღვრავს თუ ვინ და როგორ არის პასუხისმგებელი პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენაზე. აწარმოოს დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების აღრიცხვის ჟურნალი.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

2. დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეები არ წარმოადგენენ საფრთხეს ბავშვის და პერსონალის ჯანმრთელობისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არა აქვს აღრიცხული ბაღის ტერიტორიაზე არსებული მცენარეები. შესაბამისად ვერ ფასდება ბაღის ტერიტორიაზე არსებული მონაცემები რამდენად უსაფრთხოა პერსონალისა და ბავშვების ჯანმრთელობისთვის. ასევე არ არის განსაზღვრული საფრთხის შემცველი მცენარეების არსებობის შემთხვევაში გასატარებელი პრევენციული ღონისძიებები. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს ბაღის ტერიტორიაზე არსებული მცენარეების აღრიცხვა. კომპეტენტურმა პირმა უზრუნველყოს მონაცემების შეგროვება მცენარის პერსონალის და ბავშვის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხოების შესახებ. საფრთხის შემცველი მცენარეების არსებობის შემთხვევაში, დაწესებულებამ შეიმუშაოს პრევენციული ღონისძიებები.

რჩევა



არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებას (1. ბაღში არსებული მცენარეების აღწერა პერსონალის და ბავშვის ჯანმრთელობის უსაფრთხოებისთვის. 2. საფრთხის შემცველი მცენარეების არსებობის შემთხვევაში პრევენციული ღონისძიებების შემუშავება); პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (გაერთიანების დირექტორი); საჭირო რესურსი (განყოფილების მენეჯერი) და ხარვეზის გამოსწორების 12 თვიანი პერიოდი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილ შესაბამისობით.

3. კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას დაცულია ბავშვების უსაფრთხოება და პროცესი ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის ხელმძღვანელის 2024 წლის 18 ნოემბრის №492 ბრძანებით დამტკიცებული „ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესის“ დანართს წარმოედგენს მშობლის ნებართვა, კურიკულუმის ფარგლებში ბავშვის დაწესებულების გარეთ შესახებ, რომელიც ბავშვის პირად საქმეში უნდა განთავსდეს. რაც შეეხება უსაფრთხოების წესებს, რომლებიც დაარეგულირება კურიკულუმის ფარგლებში ბავშვების ბაღის ტერიტორიიდან გაყვანას ამ ეტაპზე არ არის შემუშავებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს კურიკულუმის ფარგლებში ბავშვების ბაღის ტერიტორიიდან გაყვანის უსაფრთხოების წესების შემუშავება.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებას (1.კურიკულუმის ფარგლებში ზადის ტერიტორიიდან გაყვანის წესის და პროცედურების შემუშავება და დამტკიცება); პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (გაერთიანების დირექტორი), საჭირო რესურსი (გაერთიანების იურისტი; გაერთიანების მეთოდისტი;) და ხარვეზის გამოსწორების 12 თვიანი პერიოდი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილ შესაბამისობით.

4.6.2. დაწესებულებაში დაცულია ბავშვების ემოციური უსაფრთხოება

1. დაწესებულების გარემო თითოეული ბავშვისთვის პროგნოზირებადია-ბავშვები იცნობენ დღის განრიგს და აქვთ ინფორმაცია დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ზადის შენობის ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ სტატუსის მამიებლის გარემო პროგნოზირებადია. კერძოდ, განთავსებულია სხვადასხვა სახის მანიშნებლები. ჯგუფურ ოთახებში გამოკრულია საათი-დღის განრიგი, სადაც თვალსაჩინოდ, ნახატებით არის წარმოდგენილი დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობები. ასევე ნახატების სახით წარმოდგენილია ქცევის წესები. ყველა ოთახს აქვს თავისი მანიშნებლები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2. დაწესებულების პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს და იცავს მათ საქმიანობის წარმართვის პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის N2 განყოფილებამ წარმოდგინა 2024 წლის 16 დეკემბრის საერთო კრების სხდომის ოქმი. დღის წესრიგის საკითხს წარმოდგენდა „ბავშვთა უფლებების კონვენციის გაცნობა“. სხდომის ოქმიდან ჩანს, რომ ბაღის ხელმძღვანელმა დაწესებულების პერსონალს გააცნო ბავშვთა უფლებები და ისაუბრა თუ როგორ უნდა უზრუნველყონ ბაღში შეიქმნას უსაფრთხო, არამალადობრივი, არადისკრიმინაციული პოზიტიური გარემო, სადაც ბავშვი თავს იგრძნობს დაცულად და იცის, რომ მათი უფლებები არ დაირღვევა. ასევე, დაწესებულების 6 აღმზრდელმა, აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულის ფარგლებში გაიარეს ბავშვის ძირითადი უფლებების საკითხები. კერძოდ, ბავშვთა უფლებების კონვენცია, რომელშიც გაერთიანებულია ბავშვის დაცვასთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპები, ბავშვთა უფლებები, სახელმწიფოსა და ინდივიდის დონეზე ბავშვთა დაცვის საკითხების უზრუნველყოფის მიმართულებით არსებული ვალდებულებები. დაწესებულების პერსონლთან გასაუბრებით დგინდება, რომ ისინი იცნობენ ბავშვის უფლებების დაცვის საკითხებს და მზად არის გაითვალისწინონ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის განხორციელების დროს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

3. დაწესებულებაში განსაზღვრულია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის და იდენტიფიცირებულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელმა წარმოდგინა ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 2024 წლის 18 ნოემბრის №489 ბრძანებით დამტკიცებული ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი. წესი ადგენს ბაღის როლს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) სისტემაში, ბავშვის მიმართ ძალადობაზე რეაგირების საფუძველს; ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში რეაგირებაზე პასუხისმგებელი პირს და რეაგირების მექანიზმს; ნაპოვნი /მიტოვებული ბავშვის რეფერირებას; ინფორმაციის კონფიდენციალურობას და რეფერირებასთან დაკავშირებული პროცედურულ წესებს. დანართის სახით წარმოდგენილია ბავშვთა დაცვის მიმართვის ბარათი და ბავშვის პოვნის ან ბავშვის მითოვის შეტყობინების ფორმა. ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 2025 წლის 30 ივნისის N 234 ბრძანებით განსაზღვრულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი. თუმცა რეფერირებაზე პასუხისმგებელ პირს არა აქვს შესაბამისი სწავლება/გადამზადება ამ მიმართულებით. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის სწავლება/გადამზადება ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) მიმართულებით.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებას (რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის სწავლება/გადამზადების უზრუნველყოფა ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში); პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (გაერთიანების დირექტორი), საჭირო რესურსი (გაერთიანების იურისტი, ტრენერია ან შესაბამისი ორგანოს წარმომადგენელი) და ხარვეზის გამოსწორების 12 თვიანი პერიოდი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილ შესაბამისობით.

4. დაწესებულება ხელს უწყობს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციას და ტრანზიციას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებლის მიერ წარმოდგენილ საკომუნიკაციო გეგმაში გაწერილია აქტივობა- შეხვედრები ტანზაციის ხელშესაწყობად, სამიზნე აუდიტორიას კი წარმოდგენს აღმზრდელები და აღმზრდელის თანაშემწეები. შეხვედრების შინაარსი ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს:

სახლიდან ბაღში და ბაღიდან სკოლაში ტრანზაციის გამარტივების მიზნით განსახორციელებელი აქტივობების დაგეგმვას. ვიზიტის დროს, ბაღის პერსონალთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაწესებულების პერსონალი იცნობს ადაპტაციის სხვადასხვა ფორმებს. კერძოდ, მცირე ტრანზაციის მიზნით ჯგუფურ ოთახებში გამოკრულია საათის ფორმის დღის განრიგი, სადაც თითოეული აქტივობა შესაბამისი მინიშნებითაა წარმოდგენილი და ერთი აქტივობიდან მეორეზე გადასვლას საგანმანათლებლო პერსონალი ნაცნობი სიმღერებით შეატყობინებს, ასევე აქტიურად გამოიყენებენ ქვიშის საათს, წარმოსახვითი და რითმული თამაშებს. ბაღს ასევე განსაზღვრული აქვს დიდ ტრანზაციის ხელშეწყობის აქტივობები. კერძოდ, სასკოლო მზაობის ბავშვების სტუმრობა სკოლაში. როგორც ბაღის პერსონალმა აღნიშნა ასეთ აქტივობებს ბაღი წინასწარ გეგმავს და შეათანხმებს სკოლას. დაწესებულება აქტიურად გამოიყენებს ეზოს აქტივობებს, რაც ხელს ვუწყობს ბავშვებს სირთულეების დამლევადი და ადაპტაციის პროცესის მარტივად გამკლავებაში. ასევე ბავშვის ადაპტაციის მიზნით აქტიურად გამოიყენებენ ოჯახის წევრების სურათების კუთხეს, რაც ბავშვს აგრძნობინებს, რომ მათთვის სყვარელი ადამიანები გვერდით ჰყავთ. **აღნიშნულიდან გამოდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

5. დაწესებულება იცავს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არა აქვს შემუშავებული ბავშვის პირადი საქმეების წარმოების სრულყოფილი წესი, სადაც განსაზღვრული იქნება ბავშვის პირად საქმეების წარმოებაზე და შენახვაზე პასუხისმგებელი პირი. ბავშვის პირადი საქმეები მოიცავს პერსონალურ ინფორმაციას ბავშვის და მისი ოჯახის შესახებ. კერძოდ, სარეგისტრაციო ანკეტა, სადაც მშობლის/ კანონიერი წარმომადგენლის საკონტაქტო ინფორმაციების ასახული, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობა, მშობლის წერილობითი ნებართვა ფოტო/ვიდეო ჩანაწერზე, სოც.ქსელში განთავსებაზე, ბავშვის ჯანმრთელობის ცნობა ან სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ფორმა N100; ბავშვის ფოტოსურათი,,

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სპეციალისტის/დაწესებულების შესაბამისი დასკვნა. ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია მიეკუთვნება განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს და საჭიროებენ დაცვის მაღალ სტანდარტს. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ რამდენადაც ბავშვის პირად საქმეებზე პასუხისმგებელი პირი არ არის განსაზღვრული, რომელიც უზრუნველყოფს პირად საქმეში განთავსებული ბავშვის და ოჯახის შესახებ ინფორმაციაზე უცხო პირის წვდომის დაცვლობას. ასევე არ არის შემუშავებული პერსონალური ინფორმაციის შეგროვების, შენახვის, გამოყენების, გამჟღავნების, განკარგვისა და კონფიდენციალურობის დაცვის პროცედურები. **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა დაცვის მიზნით დაწესებულებამ განსაზღვროს ბავშვის პირადი საქმეების წარმოება/შენახვაზე პასუხისმგებელი პირი ადგილი სად განთავსდება პირადი საქმეები. დაწესებულებამ შეიმუშაოს და დაიცვას პერსონალური ინფორმაციის შეგროვების, შენახვის, გამოყენების, გამჟღავნების, განკარგვისა და კონფიდენციალურობის დაცვის პროცედურები. განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის დაცვა.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებას (შესაბამისი მექანიზმის შემუშავება და დამტკიცება); პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (გაერთიანების დირექტორი), საჭირო რესურსი (გაერთიანების იურისტი, განყოფილების მენეჯერი, გაერთიანების მეთოდისტი;) და ხარვეზის გამოსწორების 12 თვიანი პერიოდი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილ შესაბამისობით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 2024 წლის 18 ნოემბრის №489 ბრძანებით დამტკიცებული ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი.
2. ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის ხელმძღვანელის 2024 წლის 18 ნოემბრის №492 ბრძანებით დამტკიცებული „ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესის“



3. ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 2025 წლის 30 ივნისის N 234 ბრძანებით განსაზღვრულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი.
4. ექტანთან გაფორმებული ხელშეკრულება
5. შესაბამისობის გეგმა
6. მოკლევადიანი გეგმები
7. დღის განრიგი
8. საკომუნიკაციო გეგმა
9. ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის N2 განყოფილების 2024 წლის 16 დეკემბრის საერთო კრების სხდომის ოქმი, ბავშვთა უფლებების კონვენციის გაცნობის შესახებ
10. ინტერვიუს შედეგები
11. ბაღის შიდა სივრცის ვიზუალური დათვალიერების შედეგები
12. ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის N2 განყოფილების შესაბამისობის გეგმა

შეფასება:			
4.6 ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება			
შესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	ნაწილობრივ შესაბამება <input type="checkbox"/>	არ შესაბამება <input type="checkbox"/>

4.7. ფინანსური რესურსი

4.7.1. დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელის მიერ წრმოდგენილია ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 2024 წლის 02 სექტემბრის N322 ბრძანებით დამტკიცებული, ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმა, სადაც N2 განყოფილებისთვის განსაზღვრულია აქტივობები. ბაღის მენეჯერთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ ბაღს საკუთარი ფინანსური რესურსი არ გააჩნია და სამოქმედო

გეგმით განსაზღვრული აქტივობების ფინანსური უზრუნველყოფა ძირითადად გაერთიანების ბიუჯეტით ხორციელდება. ბაღის ხელმძღვანელის მოთხოვნის საფუძველზე გაერთიანების ერთიანი ბიუჯეტიდან ხდება მოთხოვნილი ნივთების შეძენა, რაც დასტურდება ხელმძღვანელის მოთხოვნის წერილით და სათამაშოების და საკანცელარიო მასალის მიღება-ჩაბარების აქტით. სამოქმედო გეგმის შესწავლით ჩანს, რომ იმ აქტივობებისთვის, რომელთა განხორციელება საჭიროებს ფინანსურ ხარჯებს გათვალისწინებულია ფინანსური რესურსი გაერთიანების ბიუჯეტისა და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახით. კერძოდ, „ბაღის აღჭურვა ცენტრების შესაბამისი რესურსებით; ბაღის აღჭურვა წიგნებით, ინკლუზიური განათლების ტრენინგების ჩატარება პერსონალისთვის, საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების განსაზღვრა, სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა“ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

